371(09)
+-63

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თენგიზ გრიგოლის ძე ქიტაძე

# ბუნებისადმი სიყვარულის აღზრდის საკითხები ნიკო კეცხოველის პედაგოგიურ შეხედულებებში

სპეციალობა: 13.00.01--პედაგოგიკის თეორია და ისტორია

სადისერტაციო მაცნე

პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად (13.00.01)

თბილისი
1993 წ

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

მეცნიერ-ხელმძღვანელები: პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი
პროფესორი ჟ.გერიშვილი

პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი ვ.მეგრელიძე

ოფიციალური ოპონენტები: პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი პ.ციბაძე

პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი ღ.ღარჩია

დისერტაციის დაცვა შედგება 1993 წლის "28" მაისი

12 საათზე ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალიზირებული საბჭოს 13.00 №13-1 სხდომაზე (თბილისი, 380028, ი.ჭავჭავაძის გამზირი №3). დისერტაციის გაცნობა შეიძლება ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

რეფერატი დაგზავნილია 1993 წლის "28" აპრილი

სპეციალიზირებული საბჭოს სწავლული მდივანი,
პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი,
პროფესორი-

(ჟ.გერიშვილი)

დღევანდელ საქართველოში, როცა რესპუბლიკა დაადგა დამოუკიდებელი განვითარების გზას, - წამოიჭრა მთელი რიგი ახალი პრობლემები და ამოცანები, რომელთა გადაჭრაში უდიდესი როლი თანამედროვე ეროვნულმა სკოლამ უნდა შეასრულოს, უპირველეს ყოვლისა მან უნდა აღზარდოს და მოამზადოს ღრმა და მტკიცე ცოდნით აღჭურვილი, ზნეობრივად სპეტაკი და მაღალადამიანური თვისებებით ამაღლებული ისეთი თაობა, რომელსაც უნარი ექნება მხარი აუბას ცხოვრების დღევანდელ მოთხოვნებს და ჩვენი რესპუბლიკა გაიყვანოს ეკონომიკური და კულტურული აღორძინების რთულ და ძნელ გზაზე. დასაბუთებას არ საჭიროებს ის, რომ სკოლის წინაშე მდგომ ამ ამოცანის გადაწყვეტა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია, როგორც მასწავლებელთა კადრების პროფესიული მომზადების გაუმჯობესებაზე, ისე წარსულის მოწინავე პრაქტიკული პედაგოგიური გამოცდილებისა და თეორიული მემკვიდრეობის ჩაყენებაში თანამედროვე სკოლის სამსახურში. დიდი ქართველი განმანათლებელი, მწერალი, პედაგოგი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, ერის მამად წოდებული ილია ჭავჭავაძე მიუთითებდა, რომ "ვინატროთ რომშემცვლელთა და შემავსებელთა ხანდახან ყური ათხოვონ ისტორიას, ზოგჯერ უკანაც მიიხედონ და ზოგიერთი რამ შეითვისონ იმ დიდბუნებოვან ჰუმანისტ-პედაგოგებთან, რომელთაც უმოძღვრეს კაცობრიობას ბევრი რამ მოზარდის თაობის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ"[1]. ილია ჭავჭავაძის მართებული მოსაზრებით, - დიდბუნებოვან კაცთა და სახელოვან გმირთა მაგალითებით ისტორია სწრთვნის ერსა, ზრდის და დიდებულნი საქმენი კიდევ გულს უკეთებენ მოქმედებისათვის, აქეზებენ, ამხნევებენ ... ერის გამოკეთებისათვის ზრუნვა.

----------

1 ი.ჭავჭავაძე, თხზ., ხუთტომეული, ტ.IV.გვ.228.

Библиотека
Тбилисского гос. педагогического института
иностранных языков
им. И. Чавчавадзе